



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030606056670314

24 / მარტი / 2014 წ.

თბილისი #06-50/ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

“საქართველოს შრომის კოდექსი” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის №107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “რ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- 1.დამტკიცდეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანდართული შრომის შინაგანაწესი.
2. შრომის შინაგანაწესი განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.
- 3.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელონ ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეებმა საკურაციო სფეროების მიხედვით.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2011 წლის 21 სექტემბრის №75/ო ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ამირან გამყრელიძე